

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 044/16¹ მიმოხილვა

გურამ ლექვიანაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგნის მიხედვით ადვოკატს სისხლის სამართლის საქმიდან, რომელშიც კლიენტი გახლდათ დაზარალებული უნდა ამოეღო თანხა. საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარე რომელთანაც დავა უნდა დაწყებულიყო სასამართლოს მიერ ცნობილი იყო დამნაშავედ და სასჯელს იხდიდა პენიტენციურ დაწესებულებაში. საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურების საფასური გადაიხადა წინასწარ. მისი განმარტებით, ადვოკატს თანხა ზეგავლენით ვაჭრობის გამო გადაუხადა. კერძოდ, ადვოკატმა მას პირობა მისცა, რომ მისი ახლო მეგობრები იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები და მათი ჩარევით საქმე გადაწყდებოდა კლიენტის სასარგებლოდ. ადვოკატმა ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება, რომ გამართავდა ბრიფინგებს და შეხვედებოდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე თანამდებობის პირებს. ადვოკატმა განსაზღვრა ვალდებულებების შესრულების ვადა: მინიმალური - 06 (ექვსი) თვე, მაქსიმალური - 09 (ცხრა) თვე. იმ შემთხვევაში თუ ვერ შეასრულებდა ვალდებულებას კლიენტს უბრუნებდა წინასწარ გადახდილ თანხას. ვალდებულების შეუსრულებლობა გახდა საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიისადმი მიმართვის საფუძველი.

პროცესუალური ისტორია:

ადვოკატი არ გამოცხადდა აღნიშნულ საქმეზე და საჩივრის ავტორის განცხადებაზე პოზიცია არ დაუფიქსირებია. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 8.3 მუხლი, ასევე ნდობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა განახორციელა იურიდიული სახის მოქმედებები. კერძოდ, საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს. შემდეგ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორს.

კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე: ა) მომჩივანის მიერ ადვოკატის ადვოკატად მოწვევის მიზეზი არის თავად ადვოკატის მიერ არა საადვოკატო საქმიანობის გზით მისი უფლებების დაცვის/რეალიზაციის განხორციელების განმარტება, არამედ ძირითადად კანონისმიერი პროცედურების გარეშე შედეგის მიღების დაპირება; ბ) ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა განუმარტოს კლიენტს სამართალწარმოების შესახებ. ქონებრივი დავა კერძო სამართლებრივი დავების კატეგორიას მიეკუთვნება. ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები წარმოადგენს არა კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივ წარმოებას.

¹ გადაწყვეტილება 044/16, თარიღი 19.12.2016

<https://www.gba.ge/pdf/5c62b8681abeb.pdf/044.16%2019.12.2016.%20gaftrtileba.pdf>

ადვოკატმა კლიენტის დაცვის განხორციელებისათვის აირჩია საჯარო წარმოება - სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოება. ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის კომპონენტია თავად განსაზღვროს კლიენტის ინტერესების დაცვის გზა და სტრატეგია, გამოიყენოს თავისუფლად დისკრეცია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მომჩივანსა და ადვოკატის შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი არის მომჩივანის მოლოდინი, რომ მიიღებს ფულად ანაზღაურებას ადვოკატის მიერ კერძო ურთიერთობების გამოყენებით და თანაც საჯარო სამართალწარმოების უწყებებთან (პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია) ურთიერთობის გზით. კოლეგიამ მიიჩნია, რომ ასეთი შეთანხმება და ადვოკატის მიერ კლიენტზე შექმნილი მოლოდინები, ასევე საქმიანობის არჩევის ფორმა აზიანებს ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, საადვოკატო საქმიანობის მომხმარებელში ქმნის არაკვალიფიციურობის განცდას და რა თქმა უნდა აზიანებს ნდობას.

კოლეგიის მოსაზრებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები შეიცავს გარანტიის ელემენტებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ისეთი საკითხები, რომლებიც კლიენტს საქმის გარანტირებული მოგების შთაბეჭდილებას უქმნის: 1. ადვოკატმა აიღო ვალდებულება კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ეკუთვნის. 2. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატმა გარკვეული ვადით შეზღუდა. 3. ადვოკატმა აიღო ვალდებულება სრულად დაუბრუნოს კლიენტის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, მის მიერ გადახდილი ჰონორარი თუ ის სრულად არ დააკმაყოფილებს კლიენტის მიერ წამოჭრილ ამ კონკრეტულ პრობლემას.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8.3, მე-3, და მე-5 მუხლები რაც მოიცავს: გარანტიის მიცემის დაუშვებლობას, ასევე ნდობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს. დისციპლინური სახდელის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა, გაფრთხილება.